

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ღია მეცნიერების ღრუბლის (Cloud) ინიციატივასთან დაკავშირებით

მონაწილე ორგანიზაციები და/ან შესაბამისი პროფილის სტრუქტურული ერთეულები:

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
- ევროპის უნივერსიტეტი
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017
- საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
- საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია "გრენა"
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი
- საქართველოს უნივერსიტეტი
- ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- ქუთაისის უნივერსიტეტი

ზემოხსენებული ორგანიზაციები მოხსენიებულნი არიან როგორც "მხარეები".

მხარეები ითვალისწინებენ რა მეცნიერებისა და განათლების როლს ქვეყნის სტაბილურ განვითარებასა და ევროკავშირში ინტეგრაციაში თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობაზე ღია მეცნიერების ღრუბლის (Cloud) დანერგვასა და განვითარებაზე.

იმის გათვალისწინებით რომ:

- საქართველოს ღია მეცნიერების ღრუბლის ინიციატივა არის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მხარეებს შორის, რომლებიც თავისი საქმიანობით აფინანსებენ კვლევას ან ქმნიან, ანალიზებენ და მართავენ სამეცნიერო მონაცემებს და/ან თავაზობენ მონაცემთა გამოთვლის, დამუშავებისა და დაარქივების მომსახურებას სამეცნიერო საზოგადოებას და დაინტერესებულები არიან ამ სფეროში თანამშრომლობით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დებულებები, შემდგომში მოხსენიებული როგორც "მემორანდუმი", არ წარმოქმნის სამართლებრივ შეზღუდვებს და ფინანსურ ვალდებულებებს მხარეებს შორის;

ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

1. მემორანდუმის ძირითადი მიზანია საქართველოს ღია მეცნიერების ღრუბლის ინიციატივის შემუშავება და განვითარება.

2. კონკრეტული მიზნები:

- მონაწილეობა მიიღოს მონაცემთა სერვისების დანერგვის სტრატეგიული ხედვის შემუშავებაში და რეალიზაციაში ქვეყანაში სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების განსავითარებლად.
- საინფორმაციო აქტივობების და ტრენინგების საშუალებით ხელი შეუწყოს საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას ევროკავშირის Horizon Europe პროგრამის კონკურსებში, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის ღია მეცნიერების ღრუბლის (EOSC) ინიციატივასთან.
- ხელი შეუწყოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინსტიტუტების ჩართვას საქართველოს ღია მეცნიერების ღრუბლის ინიციატივის განხორციელებაში.

მუხლი 2. საქმიანობები

1. ქვემოთ მოცემულია საწყის ეტაპზე საქმიანობების ჩამონათვალი, რომელიც შესაძლებელია მომავალში განახლდეს მემორანდუმის მიზნების უკეთ შესასრულებლად.
 - ქვეყანაში არსებული ციფრული რესურსების გამოვლენა და მათთან დაკავშირებული სერვისების და წვდომის პირობების მოძიება.
 - ღია მეცნიერების მეთოდების დანერგვა მონაცემებზე წვდომისა და გაზიარების მიზნით, როგორცაა მომხმარებლის ინტერფეისი, რესურსების ფედერაცია, ავტორიზაცია და აღრიცხვის ინსტრუმენტები.
 - სამუშაო ჯგუფების შექმნა საერთო ინტერესის თემებზე, როგორცაა მაგალითად FAIR პოვნადი, ხელმისაწვდომი, თავსებადი, მრავალჯერადი გამოყენების მონაცემები.

მუხლი 3. სტრუქტურა

1. მემორანდუმის მიზნების შესასრულებლად თითოეული მონაწილე ორგანიზაცია გამოყოფს თავის წარმომადგენელს აღმასრულებელ საბჭოში, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ორგანიზაციის საქმიანობას ღია მეცნიერების ღრუბლის კუთხით.
2. მემორანდუმი ღია ნებისმიერი სამეცნიერო ან საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რომლებიც საქმიანობენ ღია მეცნიერების ღრუბლის სფეროში. ამის შესახებ ორგანიზაციამ წერილობით უნდა მიმართოს აღმასრულებელ საბჭოს.

მუხლი 4. რესურსები

1. მემორანდუმი არ ითვალისწინებს მხარეებს შორის რესურსების გაცვლას. მხარეები განავითარებენ და მართავენ მონაცემთა მართვის სისტემებს ორგანიზაციის შიგნით და უზრუნველყოფენ დისტანციური წვდომის მომსახურებას მონაცემთა ანალიზისა და მასშტაბური გამოთვლებისათვის სხვადასხვა კვლევით დისციპლინებში.
2. ყველა რესურსი (მონაცემები, მონაცემთა მენეჯმენტისა და ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფა, გამოთვლითი და მეხსიერების სისტემები, კავშირის ქსელი), რჩება იმ მხარის საკუთრებაში, რომელიც მათ ფლობს და ხელმისაწვდომია სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოებისთვის მფლობელი მხარის მიერ განსაზღვრული გამოყენების პოლიტიკის შესაბამისად.
3. თითოეული მხარე უფლებამოსილია განსაზღვროს საკუთარი რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება ღია მეცნიერების მიზნებისთვის გამოსაყენებლად და აგრეთვე შეიმუშაონ ამ რესურსებთან დაკავშირებული წვდომის კრიტერიუმები.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა, უფლება-მოვალეობები

1. მემორანდუმი მიზნად არ ისახავს ერთიანი ორგანიზაციის, ასოციაციის, ერთობლივი საწარმოს ან კონსორციუმის შექმნას.

2. ინფორმაციის გავრცელება მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივი საქმიანობის შესახებ და პრესრელიზების შინაარსი უნდა შეთანხმდეს მხარეებს შორის.
3. მონაწილე ორგანიზაციებმა ინფორმაციის და ტექნოლოგიების გაზიარების დროს უნდა დაიცვან ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.
4. მხარეები მიიღებენ ყველა შესაბამის ზომას პირადი და კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად.

მუხლი 6. მემორანდუმის ხანგრძლივობა, შესწორებები და გასვლა

1. მემორანდუმის ხანგრძლივობა შეადგენს სამ (3) წელს ხელმოწერის დღიდან და შეიძლება განახლდეს შემდგომი პერიოდებისთვის მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
2. მემორანდუმის ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.
3. თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს მემორანდუმში მონაწილეობა აღმასრულებელ საბჭოში წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. ნებისმიერი საკითხი რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ მემორანდუმში რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ მემორანდუმის განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, გადაწყდება მხარეთა შორის კონსულტაციებისა და/ან მოლაპარაკებების გზით.
3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თითო ხელმოწერილი ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

ორგანიზაციის დასახელება: ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი


ხელმოწერი პირის თანამდებობა: უნივერსიტეტის რექტორი

ხელმოწერი პირის სახელი და გვარი: პროფესორი ნინო ენუქიძე

ხელმოწერა:

6.16

თარიღი: 16.11.2021



ორგანიზაციის დასახელება: ევროპის უნივერსიტეტი

ხელმოწერი პირის თანამდებობა: უნივერსიტეტის რექტორი

ხელმოწერი პირის სახელი და გვარი: ნინო ტალიაშვილი

ხელმოწერა: ნ. ტალიაშვილი

თარიღი: 16.11.2021




ორგანიზაციის დასახელება: იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი პირის თანამდებობა: უნივერსიტეტის რექტორი

ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი: პროფესორი ირმა შიოშვილი

ხელმოწერა:



თარიღი:



ორგანიზაციის დასახელება: ივანე ზერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი

ხელმოწერი პირის თანამდებობა: ცენტრის დირექტორი

ხელმოწერი პირის სახელი და გვარი: პროფესორი გვანცა ჭკადუა

ხელმოწერა: გ. ჭკადუა

თარიღი: 20.11.2021



ორგანიზაციის დასახელება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ხელმოწერი პირის თანამდებობა: ბიბლიოთეკის სამეცნიერო განყოფილების უფროსი სპეციალისტი

ხელმოწერი პირის სახელი და გვარი: ნატალი გიორგობიანი

ხელმოწერა:




თარიღი: 2/11/2021

ორგანიზაციის დასახელება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ხელმოწერი პირის თანამდებობა: ინსტიტუტის დირექტორი

ხელმოწერი პირის სახელი და გვარი: პროფესორი მიხეილ ნიორაძე

ხელმოწერა: 

თარიღი: 21 თებ 2021



ორგანიზაციის დასახელება: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი პირის თანამდებობა: უნივერსიტეტის რექტორი

ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი: პროფესორი კახაბერ კორძაია

ხელმოწერა:

თარიღი:




ორგანიზაციის დასახელება: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი პირის თანამდებობა: უნივერსიტეტის რექტორი

ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი: პროფესორი მაკა ბერიძე

ხელმოწერა:



თარიღი:

15. 11. 2021




ორგანიზაციის დასახელება: საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო
ქსელის კონსორციუმი 2017

ხელმოწერი პირის თანამდებობა: აღმასრულებელი დირექტორი

ხელმოწერი პირის სახელი და გვარი: ნინო პავლიაშვილი

ხელმოწერა:



თარიღი: 27.10.2021წ.

ორგანიზაციის დასახელება: საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი პირის თანამდებობა: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი: მაია თორდია

ხელმოწერა: 

თარიღი: 01.11.2021წ.

ორგანიზაციის დასახელება: საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული
ქსელების ასოციაცია "გრენა"

ხელმოწერი პირის თანამდებობა: აღმასრულებელი დირექტორი

ხელმოწერი პირის სახელი და გვარი: პროფესორი რამაზ ქვათაძე

ხელმოწერა:

რ. ქვათაძე

თარიღი:

20. 10. 2021



ორგანიზაციის დასახელება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი

ხელმძღვანელი პირის თანამდებობა: ინსტიტუტის დირექტორი

ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი: პროფესორი ვახტანგ კვარაცხელია

ხელმოწერა: 


თარიღი: 25.10.2021

ორგანიზაციის დასახელება: საქართველოს უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი პირის თანამდებობა: უნივერსიტეტის რექტორი

ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი: კონსტანტინე თოფურია

ხელმოწერა:



თარიღი:



ორგანიზაციის დასახელება: სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი პირის თანამდებობა: უნივერსიტეტის აღმასრულებელი დირექტორი / რექტორი

ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი: ალექსანდრე თევზაძე

ხელმოწერა:



თარიღი: 11.11.2021

ორგანიზაციის დასახელება: ქუთაისის უნივერსიტეტი

ხელმომწერი პირის თანამდებობა: უნივერსიტეტის რექტორი

ხელმომწერი პირის სახელი და გვარი: პროფესორი გოჩა თუთბერიძე

ხელმოწერა:

გოჩა თუთბერიძე

თარიღი:

16.11.2022

